



დამტკიცებულია  
2019 წლის 6 აგვისტოს  
საქართველოს მთავრობის  
№ 378 დადგენილებით

დანართი №7

### ვებ-გვერდის სამსახურის სერვერულ ინფრასტრუქტურაზე განთავსების მომსახურების პირობები და საფასურის ოდენობები

**მუხლი 1. ვებ-გვერდის სამსახურის სერვერულ ინფრასტრუქტურაზე განთავსების მომსახურების საფასურის ოდენობები და მათი დაანგარიშების წესი:**

მომსახურების დასახელება	ვებგვერდის მაქსიმალური მოცულობა (GB)	ერთი თვის მომსახურების საფასური დღე-ის ჩათვლით (ლარი)
ვებგვერდის სამსახურის სერვერულ ინფრასტრუქტურაზე განთავსება	5 მდე	118.90
	5 დან - 10 მდე	184.10
	10 დან - 20 მდე	254.60
	20 და მეტი	564.00

**მუხლი 2. ვებ-გვერდის სამსახურის სერვერულ ინფრასტრუქტურაზე განთავსების მომსახურების პირობები:**

1. ორგანიზაცია, რომელიც გადაწყვეტს შეისყიდოს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურიდან (შემდგომში - „სამსახური“) ვებ-გვერდის სამსახურის სერვერულ ინფრასტრუქტურაზე განთავსების მომსახურება (შემდგომში - „შემსყიდველი ორგანიზაცია“), ვალდებულია შესყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნა წარუდგინოს სამსახურს წერილობით;

2. შესყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნა უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას, კერძოდ:

- ა) ვებ-გვერდის დასახელებას;
- ბ) საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართს;
- გ) მომსახურების გაწევის ვადას.

3. სამსახური, ვებ-გვერდის სამსახურის სერვერულ ინფრასტრუქტურაზე განთავსების მომსახურების გაწევის დაწყებასთან დაკავშირებით, უგზავნის შემსყიდველ ორგანიზაციას





შეტყობინებას მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართზე და აღნიშნული შეტყობინების მიღების შემდგომ სამსახური ახორციელებს მომსახურებას გაწევას.

4. სამსახური მომსახურებას ახორციელებს უწყვეტად მე-2 მუხლის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში, შესაბამისად მომსახურების მიღებაზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და სამსახურს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც შესაძლებელია გაფორმდეს როგორც ყოველთვიურად ასევე მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდგომ.

5. მომსახურების მიღებასთან დაკავშირებული მიღება-ჩაბარების აქტი უნდა გაფორმდეს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან ან/და ყოველი მომდევნო თვის დასაწყისიდან - 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან - 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

